

# გომიჯი ჟენედიქე



საქართველოს უნივერსიტეტის  
გამომცემლობა  
თბილისი  
2016

# გიოზგი ჯეჯელიძე თომას ზღაპრები

## პროდუქტი

ჯულიეტა ანდლუიძე

## იდეატორი

მანანა ბენახაშვილი

## ყლის დიზაინერი და ილუსტრატორი

სალომე ხოტივაძე

## დამყარებელი

ნათია დვინიძე



საქართველოს ენიველსიტეტის გამომცემლობა © 2016



**პროსაი**

ჯოსელი, თომთეს ჩამოსვლის ამბავი © 2016

საქართველოს ენიველსიტეტის გამომცემლობა

მეხად ქოსტავას გამზინი 77ა, თბილისი

ელფოსტა: info@ug.edu.ge

ISBN 978-99940-50-26-0



ედევნება თ-ს



# როგორ იქცა თომა ჯუჯად

თუ ბავშვობა მართლა იქ მთავრდება, როცა ლოგინის ქვეშ შეხედვის აღარ გვეშინია, მაშინ ფანჯრიდან უნდა მოვისროლო ჩემი საწოლი – თქვა ერთხელ თომამ, ეცადა კიდევ, მაგრამ რაღა დაგიძალოთ და ვერ მოერია. ეჯაჯგურა, ეჯაჯგურა და მერე გაბრაზებული იატაკზე გაიშოტა.

დიდხანს იწვა ასე თვალებლია და განრისხებული. ჭრელქუდიანი, ჭიანჭველისტანა სიზმრების ჯარი დადგა. „შემოგვიშვი, შემოგვიშვი, დახუჭე თვალები და ძილის კარი გაგვიღე!“ – ჯუჯღუნებდნენ ჯუჯა სიზმრები. თუმცა თომა არც ყურს იბერტყავდა და არც თვალს ხუჭავდა.



იწვა ასე ღია ქუთუთოებით, იწვა და უცებ, შუალამისას, სხვა, უფრო ნაცნობი ხმა მოესმა.

– წამოდი თომა! წამოდი! მე მიგიყვან იქ, სადაც შენ მარადიულ ბავშვობას მოიპოვე!

თომა სამყაროზე ნაწყენი კი იყო, თუმცა ცოდვა გამხელილი ჯობს, ძახილმა ძალიანაც დააინტერესა. როგორც გაბრაზებული პატარების წესია – ტუჩები გაბუტული დატოვა და აწეული წარბიდან მხერა ნაბიჯ-ნაბიჯ ნელ-ნელა გააპარა.

ბუ ბაიბურას ფანჯარაზე თვალები დაეჭყიტა და კეთილად იღიმოდა.

– არ მჯერა – წაიბუზღუნა თომამ – ადრეც ბევრჯერ მომატყუე. ერთხელ მითხარი შოკოლადის ზღვაზე წაგიყვანო და ჩვეულებრივი ტბა აღმოჩნდა, ისიც რძიანის!

– წამოდი, წამოდი, თომა! – ცალ ყურშიც კი არ შეუშვა ბაიბურამ თომას ნათქვამი და მეორეში რაღას გაუშვებდა – ხომ ხედავ, საათის ისარი ბავშვობიდან მოგაქროლებს და მალე დიდად იქცევი!

შეშინებულმა თომამ თავზე საბანი გადაიფარა. ამ დროს ეგონა, რომ ყველაფრისგან დაცული და დამალული იყო – კოლოების აბეზარი, წუილ-ბზუილა რაზმისგან, ქარაკუდა, ქუდიპარია მფრინავი მელასგან, ბუნრიდან ამოსული კვამლის გადასახადის ამკრეფი ცხვირცანცარა კაცისგან და დროისგანაც კი. დიანხ! თუ თავზე საბანს გადაიფარებდა – ვერავინ და ვერაფერი მიეკარებოდა!

მაგრამ ბაიბურა რისი ბაიბურა გახლდათ – არ ვიცი რა ხერხით და ჯადოქრობით, ბუს ხმა ნემსზე უფრო

წვრილდებოდა და ფერადი ნაჭრებისგან შეკერილ საბანში  
ძაფების გზებს მიუყვებოდა.

- წამოდექი, თომა, წამოდექი! დროს ვერ შევაჩერებ! ხომ  
გახსოვს, ერთხელ ვთხოვეთ დედამისს, რამდენიმე წამით  
დაეძინებინა და სოფელში ყველა ხე გახმა. მერე მთელი ღამე  
ვულოცავდით და ვრწყავდით მე და ყვავილების პრინცესას  
გამზრდელი! წამოდექი!

- და შენ ამბობ, რომ ჩემი ხელები მამაჩემივით მსხვილი,  
ფეხები ბაბუაჩემივით გრძელი, საქმეები დედაჩემივით ბევრი  
და დარდი ბებიაჩემივით ხშირი არასდროს იქნება?

- კი თომა, შენ უბრალოდ ადექი, ოღონდ ფრთხილად!  
საწოლთან სიზმრები დგანან და არ გაჭყლიტო!



ძლიერ წვიმაში ფანჯარაზე მომხტარი წვეთები დაგითვლიათ? აი, სამ წვეთს რომ დრო ჭირდება, ზუსტად იმდენ ხანში თომა უკვე ბაიბურას ზურგზე იჯდა და ბავშვობაში დამტოვებელი სკოლის დირექტორისკენ მიფრინავდნენ. დირექტორი სათამაშოებისგან აწყობილი ერთი კაცი იყო – ზედმეტად მხიარული და ფიცხი. ცოტას თუ ეხერხებოდა მასთან საერთო ენის გამოძებნა.

– როგორ, ნუთუ მართლა გგონია, რომ მთელი სამყაროს უფროსები შენ წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ყველაფერს აკეთებენ, რომ დღეში შოკოლადის მხოლოდ ერთი ფილა მოგცენ?

– რა თქმა უნდა! მე ხომ სულ ბავშვი მინდა ვიყო! – უპასუხა თომამ ბაიბურასგან დარიგებული სისხარტით.

– ნუთუ გადაწყვიტე, რომ ყოველდღე კეთილი ტყუილების გაკვეთილზე იარო და ერთხელაც არ გამოგყვეს ბოროტი სიმართლე? – გამომცდელი მზერით ჩაეკითხა დირექტორი.

– დიახ, რა თქმა უნდა!

– და ნუთუ გადაწყვიტე, რომ შენი მუხლები სულ დაღურჯებული იქნება, რადგან ბოლომდე კარგად ვერასდროს ისწავლი ველოსიპედის ტარებას?

– დიახ!

– და იცი, რომ სულ სხვისი სათამაშო აჯობებს შენსას?

– დიახ!

– დაააა – აქ საგანგებოდ ჩაახველა დირექტორმა – ნუთუ მზად ხარ, ყოველ დილით უგემური ფაფა მიირთვა, ფაფა და



თან კარააააქიით? და მერე, იმ საშინელი უფროსებისგან  
ლოყაზე ვითომ მოსაფერებელი ჩქმეტა და ქაჩვა მოითმინო,  
ეს კაცობრიობის ყველაზე დიდი დანაშაული?!

ეს ძალიან რთული კითხვა ჩანდა, მაგრამ თომას ისე  
უნდოდა ბავშვად დარჩენა, ცოტა უფრო ჩუმად, მაგრამ მაინც  
მტკიცედ უპასუხა.

– დიახ, რა თქმა უნდა!

და თომამ პირველი გამოცდა გაიარა. შემდეგი გამოც-  
დებიც არ იყო იოლი – დროის გატარება დედასთან, ჯუჯების  
მწვრთნელთან და ზღაპრის გულების მკერავთან. მაგრამ ბუ  
ბაიბურა აბა რისი გამოცდილი და ყოვლისმცოდნე ბაიბურა  
იქნებოდა, მეგობარს არ დახმარებოდა.

და ნახევარმთვარეობის დღესასწაულზე, როცა ჯა-  
დოქრები მთვარის მოქანავე ყუნწზე წყლით სავსე სათლებს  
კიდებენ, წყალი კი მაინც არ იღვრება, თომა ჯუჯად აკურთხეს.

